საქართველოს პარლამენტის
აპარატის
იურიდიული დეპარტამენტი

თბილისი 0118, რუსთაველის გამზ. №8
ტელ: (995 32) 2281394
ელ. ფოსტა: legaldep@parliament.ge

საქართველოს პარლამენტი

LEGAL DEPARTMENT
OF STAFF OF
PARLIAMENT OF GEORGIA

8 Rustaveli Avenue, 0118,Tbilisi,Georgia,
(995 32) 2281394
e-mail: legaldep@parliament.ge

№ 147
„17“ „10“ 2022 წ.

დასკვნა

საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონების პროექტების და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის (№07-2/194; 10.10.2022) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად განხილვის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად განიხილა საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონების პროექტები და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი (№07-2/194; 10.10.2022) და აღნიშნავს შემდეგს:

პაკეტით წარმოდგნილი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი, რომლითაც მათ შორის გათვალისწინებულია საპენსიო სააგენტოს მიერ შესაბამისი ანგარიშების საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის ფორმა და ვალდებულება (კანონის პროექტის პირველი მუხლის მე-18 პუნქტი) საჭიროებს შესაბამისი ფორმით ასახვას საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 167-ე მუხლში (საპენსიო სააგენტოს საქმიანობის ზედამხედველობა). „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით კანონპროექტს ასევე უნდა დაერთოს პროექტი იმ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ, რომელში ცვლილების შეტანასაც იწვევს კანონპროექტი, და ისინი წარდგენილი უნდა იქნეს საკანონმდებლო პაკეტის სახით, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში შესაბამისი ცვლილების პროექტი უნდა წარმოადგინოს საამისოდ უფლებამოსილმა საპარლამენტო სუბიექტმა (საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 99-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით - მხოლოდ პარლამენტის წევრი, კომიტეტი ანდა ფრაქცია არის უფლებამოსილი პარლამენტს წარუდგინოს რეგლამენტის პროექტი). ვინაიდან საქართველოს მთავრობა არ არის უფლებამოსილი წარმოადგინოს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების ამსახველი პროექტი, იურიდიულ დეპარტამენტს მიზანშეწონილად მიაჩნია კანონის პროექტების განხილვის პროცედურის დაწყება.

ალექსანდრე ტაბატაძე

დეპარტამენტის უფროსი